გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 45
(11 604)

14 – 17 ივნისი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## მსოფლიო XVII ჩემპიონატი ფეხბურთში

### გუშინ...

| | |
|---|---|
| ბრაზილია – კოსტა-რიკა | 5-2 |
| თურქეთი – ჩინეთი | 3-0 |
| მექსიკა – იტალია | 1-1 |
| ეკვადორი – ხორვატია | 1-0 |

იხ. მე-4-5 გვერდი

## საქართველოს სპორტული რეზერვი მოსკოვში დიდ გამოცდაზე მიემგზავრება

2

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ჭიდაობაში 2002 წლის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისას გამოვლენილი ვაჟკაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისთვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

ღირსების ორდენით: დამერლან დავითაია – საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ბადრი ხასაია – ევროპის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ღირსების მედლით: მანუჩარ კვირკველია – ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; რევაზ მინდორაშვილი – ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, დავით ოთიაშვილი – ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში.

## წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქვეყანაში სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდაში შეტანილი დიდი წვლილისათვის „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიანიჭა:

ივანე ჯანაშვილს – ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის სპორტული განყოფილების მთავარ სპეციალისტს;

ჯანსუღ ხარაბაძეს – ს/ს „ლოკომოტივის“ ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი;

თეიმურაზ ქიმუცაძეს – ქ. ქუთაისის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა რესპუბლიკური სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის დირექტორს;

ოთარ ტატიშვილს – ნაკრები გუნდის მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

## „სკუადრა აძურაც“ ჩემპიონატს შემორჩა

**მატჩი №43. იაპონია. ოიტა. 13 ივნისი, G ჯგუფი. III ტური.**
**იტალია – მექსიკა. 1-1 (0-1)**

*იტალია:* ბუფონი, პანუჩი (კოკო), მალდინი, კანავარო, ძანეტი, ინძაგი (მონტელა), ტოტი (დელ პიერო) ნესტა, ტომაზი, ძამბროტა, ვიერი.
*მექსიკა:* პერესი, მარკესი, ვიდრიო, ტორადო, მორალესი (კაბალიერო), ბორგეტი (პალენსია), ბლანკო, ლუნა, კარმონა, ი. როდრიგესი (გარსია), არელიანო.
*გააფრთხილეს:* არელიანო, კანავარო, პანუჩი, ტოტი, ძამბროტა, მონტელა. გოლები: 0-1 ბორგეტი (35), 1-1 დელპიერო (85)
*მსაჯი:* კარლოს სიმონი (ბრაზილია).

ბოლო ტურის წინ მეტად საინტერესო სიტუაცია შეიქნა G ჯგუფში. იტალიის ნაკრებს მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა 6 ქულის მქონე მექსიკის ნაკრებთან, რათა მერვედფინალში გასულიყო. მიზნის მიღწევით „სკუადრა აძურა“ წარმატების შანსს აძლევდა ხორვატიის ნაკრებს, თუმცა ამ უკანასკნელს ჯგუფის აუტსაიდერი – ეკვადორის ნაკრები უნდა დაემარცხებინა.

რაც შეეხება ჯგუფის ლიდერს – მექსიკის ნაკრებს, მას ფრეც ჰყოფნიდა პირველი ადგილის დაკავებისათვის.

აპენინელები მსაჯის სასტარტო სასტვენის ხმის გაგონებისთანავე ეკვეთნენ მეტოქის კარს. უკვე მეცამეტე წუთზე ინძაგიმ გოლიც გაიტანა, თუმცა მსაჯმა აშკარა თამაშგარე დააფიქსირა. შეტევაში გართულ იტალიელებს მექსიკელთა ერთი სახიფათო კონტრშეტევა „გამორჩათ“, რომლის დროსაც ბორვეტიმ ანგარიში გახსნა... ამას კი ნამდვილად არავინ ელოდა! ანერვიულებული იტალიელები ამაოდ ცდილობდნენ ტაიმის ბოლომდე წონასწორობის აღდგენას.

მეორე ტაიმი „სკუადრა აძურას“ სახიფათო შეტევებით დაიწყო.

ინძაგის ორი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ბურთის ბოლომდე კონტროლი ვერ შეძლო.

63-ე წუთზე იტალიელებმა გოლი გაიტანეს; მაგრამ ეს აღმოჩნდა მეოთხე გოლი, რომელიც არ ჩაუთვალეს! – მსაჯმა კარლოს სიმონმა კვლავ თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა.

79-ე წუთზე მოედანზე ტოტის ნაცვლად დელ პიერო გამოჩნდა, რომელიც კარგად ჩაერთო თამაშში და 85-ე წუთზე მონდელას გადაცემის შემდეგ ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა 1-1. დარჩენილ ხუთ წუთში არაფერი შეცვლილა და ორივე გუნდი მერვედფინალში გავიდა.



## ბომბი... ტრიბუნის ქვეშ

ჰონკონგში, იპოდრომის ტერიტორიაზე, სადაც უზარმაზარი სატელევიზიო ეკრანის საშუალებით მიმდინარეობდა თურქეთ-ჩინეთის მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია, სპეციალურმა სამსახურებმა ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს. სპეცსამსახურის ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, ბომბი იდო იმ ტრიბუნის ქვეშ, რომელზედაც 5 ათასამდე ფეხბურთის გულშემატკივარი იჯდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა თავდაპირველად იპოდრომის ერთ-ერთმა დამლაგებელმა შეამჩნია ტრანსლაციის დასრულების შემდეგ.

## ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

გთავაზობთ ევროპული ტოტალიზატორების ფსონების კოეფიციენტებს მსოფლიო ჩემპიონატის დღევანდელი მატჩებისათვის.

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| ბელგია — რუსეთი | 2,85 | 3,00 | 2,40 |
| ტუნისი — იაპონია | 6,00 | 3,40 | 1,55 |
| პოლონეთი — აშშ | 4,15 | 3,00 | 1,90 |
| პორტუგალია — სამხრეთ კორეა | 1,90 | 3,10 | 4,00 |

## დღეს...

14.06 ტუნისი – იაპონია
ბელგია – რუსეთი
პორტუგალია – კორეა
პოლონეთი – აშშ

## ბათუმში, ევროპის ჩემპიონატზე

აჭარის დედაქალაქში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. დებულებით შეჯიბრება 13 ტურად ტარდება. რეგლამენტით, თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის ეძლევა საათნახევარი პლუს 30 წამი თითოეულ სვლაზე.

ბათუმში სულ 50 მოჭადრაკე ასპარეზობს, რომელთა შორის არიან: გიორგი ყაჭეიშვილი, ბაადურ ჯობავა, ზურაბ სტურუა, ზვიად იზორია, თამაზ გელაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ხვიჩა სუპატაშვილი (ყველა — საქართველო), ემილ სუტოვსკი (ისრაელი), ალექსეი ალექსანდროვი (ბულგარეთი), მიხეილ გურევიჩი (ბელარუსი), სმბათ ლპუციანი (სომხეთი), იან ელვესტი (ესტონეთი) და სხვები. შეჯიბრება 27 ივნისს დასრულდება.

**თენგიზ ჩოგანიძე**

## მონაწილე ქვეყნები, ჯგუფები, შედეგები...

| A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | | 0-1 | 0-0 | 0-2 | 0-3 | 1 | IV |
| სენეგალი | 1-0 | | 3-3 | 1-1 | 5-4 | 5 | II |
| ურუგვაი | 0-0 | 3-3 | | 1-2 | 4-5 | 2 | III |
| დანია | 2-0 | 1-1 | 2-1 | | 5-2 | 7 | I |

| B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | | 3-1 | 3-1 | 3-2 | 9-4 | 9 | I |
| სლოვენია | 1-3 | | 1-3 | 0-1 | 2-7 | 0 | IV |
| პარაგვაი | 1-3 | 3-1 | | 2-2 | 6-6 | 4 | II |
| სამხ.აფრიკა | 2-3 | 1-0 | 2-2 | | 5-5 | 4 | III |

| C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | | 2-1 | 4-0 | 5-2 | 11-3 | 9 | I |
| თურქეთი | 1-2 | | 3-0 | 1-1 | 5-3 | 4 | II |
| ჩინეთი | 0-4 | 0-3 | | 0-2 | 0-9 | 0 | IV |
| კოსტა-რიკა | 2-5 | 1-1 | 2-0 | | 5-6 | 4 | III |

| D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ.კორეა | | 2-0 | 1-1 | | 3-1 | 4 | |
| პოლონეთი | 0-2 | | | 0-4 | 0-6 | 0 | |
| აშშ | 1-1 | | | 3-2 | 4-3 | 4 | |
| პორტუგალია | | 4-0 | 2-3 | | 6-3 | 3 | |

| E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | | 8-0 | 1-1 | 2-0 | 11-1 | 7 | I |
| საუდეთი | 0-8 | | 0-3 | 0-1 | 0-12 | 0 | IV |
| ირლანდია | 1-1 | 3-0 | | 1-1 | 5-2 | 5 | II |
| კამერუნი | 0-2 | 1-0 | 1-1 | | 2-3 | 4 | III |

| F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | | 1-0 | 0-1 | 1-1 | 2-2 | 4 | III |
| ნიგერია | 0-1 | | 0-0 | 1-2 | 1-3 | 1 | IV |
| ინგლისი | 1-0 | 0-0 | | 1-1 | 2-1 | 5 | II |
| შვედეთი | 1-1 | 2-1 | 1-1 | | 4-3 | 5 | I |

| G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | | 2-0 | 1-2 | 1-1 | 4-3 | 4 | II |
| ეკვადორი | 0-2 | | 1-0 | 1-2 | 2-4 | 3 | IV |
| ხორვატია | 2-1 | 0-1 | | 0-1 | 2-3 | 3 | III |
| მექსიკა | 1-1 | 2-1 | 1-0 | | 4-1 | 7 | I |

| H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | | 2-2 | 1-0 | | 3-2 | 4 | |
| ბელგია | 2-2 | | | 1-1 | 3-3 | 2 | |
| რუსეთი | 0-1 | | | 2-0 | 2-1 | 3 | |
| ტუნისი | | 1-1 | 0-2 | | 1-3 | 1 | |

### რუსეთი მსოფლიოს წინააღმდეგ

## ზურაბ აზმაიფარაშვილს ალბათ მსოფლიო ნაკრებში შეიყვანენ

მოსკოვში, 8-12 სექტემბერს ჩატარდება 21-ე საუკუნის საჭადრაკო მატჩი, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან რუსეთისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდები. უკვე ცნობილი გახდა იმ მოჭადრაკეთა ვინაობა, რომლებიც რუსეთის ღირსებას დაიცავენ: გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი, ანატოლი კარპოვი, ალექსანდრე ხალიფმანი, ევგენი ბარეევი, ალექსანდრე მოროზევიჩი, პეტრ სვიდლერი, ალექსეი დრეევი და ალექსანდრე გრიშჩუკი. ნაკრების კიდევ ერთ ვაკანტურ ადგილზე სამი მოჭადრაკე აცხადებს პრეტენზიას — ალექსანდრე მოტილევი, ვადიმ ზვიგინცევი და სერგეი რუბლევსკი.

• მსოფლიო ნაკრების წინასწარი ძირითადი შემადგენლობა ასეთია: რუსლან პონომარევი (უკრაინა), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვესელინ ტოპალევი (ბულგარეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ბორის გელფანდი (ისრაელი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), იუდით პოლგარი (უნგრეთი) და სცზიან ხუანი (ჩინეთი). გარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილთა რიგებს შეიძლება შეემატნენ ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი და ნაიჯელ შორტი (ინგლისი). მსოფლიო ნაკრების კაპიტანი ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 2 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 8 თვე გვაშორებს

## მოსკოვში გამგზავრებამდე ერთად იასპარეზეს

საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის მოწვევით, საქართველოში იმყოფებოდა სომხეთის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდი. როგორც ჩვენები, მეზობლებიც ემზადებოდნენ ჭაბუკთა საერთაშორისო თამაშებისთვის. ამიტომ ამ შეხვედრას ორივე ნაკრებისთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. სომხებმა ჩამოიყვანეს მხოლოდ ჭაბუკები. საინტერესოა, რომ ყმაწვილებთან ერთად, საფარიკაო ბილიკზე გამოვიდა მსოფლიოს 1963 ჩემპიონი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ ანდრიაძე, რომელიც ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. (აშშ, ფლორიდა, აგვისტო),


ფოტოები რობერტ ბაგრიანისა

***კვარცხლბეკი. დაშნა:*** 1. ანდრეი აკაევი (აჭარა), 2. ვართან რუმენიანი, 3. მიხეილ კაბარიანი (ორივე — სომხ) და მიხეილ ჯიქია (თბ); ***რაპირა:*** 1. გელამ ოვსეპიანი (სომხ), 2. ანდრეი ბრაკალოვი (აჭარა), 3. მადონა ჩაბრაძე და ნელი კობიაშვილი (ორივე — თბ). ქართველი გოგონები ბიჭებთან ერთად ფარიკაობდნენ, რადგან სომხებს გოგონები არ ჰყავდათ.

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!


*საქართველოსა და სომხეთის სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები და ორგანიზატორები*

## ჭაბუკებს გზა დაულოცეს

გუშინ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში მოსკოვში გამგზავრების წინ შეიკრიბა საქართველოს სპორტული დელეგაცია, რომელიც დსთ-ს, ბალტიის ქვეყნების და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტულ თამაშებზე დღეს მიემგზავრება. ჭაბუკ სპორტსმენებს მიესალმა და წარმატებები უსურვა დელეგაციის ხელმძღვანელმა, თბილისის მერიის, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსმა დავით ჰელიძემ, რომელმაც სპორტსმენთა და დელეგაციის სხვა წევრთა სახელით დიდი მადლობა გადაუხადა თბილისის მერს ვანო ზოდელავას, გამგზავრებისა და სპორტსმენთა ეკიპირების ხარჯების გაღებისათვის. შეკრებილები ტაშით მიესალმნენ ვანო ზოდელავას, რომელმაც თავის მხრივ საქართველოს სახელოდ თვალსაჩინო მიღწევები უსურვა ჩვენს ჭაბუკ სპორტსმენებს. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი.

თამაშების მონაწილე სპორტსმენებს იქვე დაურიგდათ სპორტული ფორმა.

დღეს 13 საათზე დელეგაცია შეიკრიბება სპორტის სასახლის სალაროებთან, საიდანაც თბილისის აეროპორტში მონაწილეებს ავტობუსებით გადაიყვანენ.

## დღეს საქართველოს სპორტული დელეგაცია მოსკოვს მიემგზავრება

**14-24 ივნისს რუსეთის დედაქალაქში ჩატარდება დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების საერთაშორისო ჭაბუკთა თამაშები. წარმოგიდგენთ თამაშებში მონაწილე საქართველოს სპორტსმენებს სპორტის სახეობების მიხედვით:**

### მძლეოსნობა

მარიამ ქევხიშვილი (თბილისი)
ეკატერინა ტყემალაძე (ოზურგეთი)
თამარ ესებუა (თბილისი)
ნათია ჯანელიძე (თბილისი)
ნინო თათრულაიძე (ახმეტა)
სოფიო ლაბაძე (ახალციხე)
მარიამ ინაშვილი (თბილისი)
გიორგი ღვთისიაშვილი (მცხეთა)
ირაკლი ჯაამე (ახმეტა)
ნინო ელიზბარაშვილი (თბილისი)
გიორგი ამირანაშვილი (თბილისი)
მამუკა ტუღუში (ოზურგეთი)

***მწვრთნელები:*** რომან საზანაშვილი, გიორგი ბედოშვილი.
***ხელმძღვანელი*** ნოე ლობჟანიძე.

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ლაშა გოგიტაძე (ქუთაისი)
დიმიტრი ძიმისტარაშვილი (ბათუმი)
დავიდ ბედინაძე (ბათუმი)
ზურაბ ზავრაშვილი (რუსთავი)
ლევან ზურაბიანი (ოზურგეთი)
ომარ ბაკურიძე (ბათუმი)
გენადი გოგიშვილი (სამტრედია)
ვლადიმერ გეგეშიძე (თბილისი)
გივი მორჩილაძე (თბილისი)

***უფროსი მწვრთნელი*** ვაჟა კრავეიშვილი.
***მწვრთნელები:*** თამაზ გეგეშიძე, დავით ლატარია
***მსაჯი*** ჯუმბერ დავლიანიძე.

### სამბო

ზურაბ ოდიშაშვილი (კასპი)
ლაშა ტვილდიანი (თბილისი)
გიორგი ტყეშელაშვილი (ქუთაისი)
გელა სანიკიძე (ქუთაისი)
გიორგი შოშიაშვილი (თბილისი)
გიორგი მჭედლიშვილი (თბილისი)
ჯარჯი ფოთოლაშვილი (თელავი)
ვახტანგ ბაბილუა (სოხუმი)
გიორგი დემეტრაშვილი (თბილისი)
ალექსი ღვინიაშვილი (თბილისი)
მიხეილ თურქაძე (რუსთავი)

***მწვრთნელები:*** გივი კახაბრიშვილი, ომარ იაძე, თემურ გიორგაძე
***მსაჯი*** ემილ რაში.
***ხელმძღვანელი*** ნოდარ ექვთიმიშვილი.

### ფარიკაობა

ნიკოლოზ ბახსოლიანი (თბილისი)
დავით მთვარელიძე (თბილისი)
ირაკლი ზამბახიძე (ბათუმი)
გურამ ჩხოიძე (თბილისი)
ნატო კობიაშვილი (თბილისი)
მადონა ჩაბრაძე (თბილისი)
ლელა ძნელაძე (თბილისი)
მიხეილ ჯიქია (თბილისი)
გიორგი სილაგაძე (თბილისი)
აკაკი აკაევი (ბათუმი)
ნათია საიკაშვილი (თბილისი)
გიორგი გრიგოლია (თბილისი)
ანდრეი ბრაკალოვი (ბათუმი)
გიორგი რაზმაძე (თბილისი)

***მწვრთნელები:*** ლუდვიკ ლალანიძე, ვიტალი გრიგოლია, ლევან რაზმაძე.
***მსაჯი*** დავით სახვაძე.

### ცურვა

ანა სალნიკოვა (თბილისი)
გიორგი ვეფხვაძე (თბილისი)
ალექსანდრე იზორია (თბილისი)
ალექსანდრე მოსეშვილი (თბილისი)
ივანე ლექვთაძე (თბილისი)

***მწვრთნელი*** ირინა მინკულინა.

### ჩოგბურთი

დავით კვერნაძე (თბილისი)
ნოდარ ითონაშვილი (თბილისი)
თინათინ ყაველაშვილი (თბილისი)
თათია მიქაძე (თბილისი)

***მწვრთნელი*** ეკატერინა თოხაძე

### კალათბურთი

(ჭაბუკები)

ნოდარ ბექაური (ბავშ. საკ. აკ)
დავით გვიმრაძე (ბავშ. საკ. აკ)
დავით გიორგობიანი („მართვე")
ტატო ჯანეზაშვილი („მართვე")
ბესიკ ლეჟავა (ბავშ. საკ. აკ)
მანუჩარ მარკოიშვილი („ბასკო")
ირაკლი საყვარელიძე („ბასკო")
ვიქტორ სანიკიძე („ბასკო")
გიორგი ცინცაძე (ბავშ. საკ. აკ)
ნიკო ჩხატარაშვილი („ბასკო")

***უფროსი მწვრთნელი*** თამაზ ოქრუაშვილი
***მწვრთნელი*** დავით უსტიაშვილი.
***ხელმძღვანელი*** როლანდ ხომერიკი.

(გოგონები)

ქუქუნა მგალობლიშვილი („მართვე")
ნანა აბულაძე („მართვე")
სოფიო სანიშვილი („მართვე")
მაკა ციხელაშვილი („მართვე")
მაია ცხადაძე („მართვე")
მარია იორაშვილი („მართვე")
ხათუნა საჯაია („მართვე")
ცხადაძე ეკა („მართვე")
თამარ ზარასპაშვილი („მართვე")
ნონა ნემსაძე („მართვე")

***უფროსი მწვრთნელი*** შოთა იაქაშვილი
***მწვრთნელი*** თამაზ ბუილიშვილი

### ხელბურთი

(ჭაბუკები)

კორნელი ანდრიაძე („მართვე")
გაგა სეთურიძე („მართვე")
დავით ნადირაძე („მართვე")
აკაკი ტალახაძე („მართვე")
ამირან ყიფიანი („მართვე")
გიორგი ნატროშვილი („მართვე")
ვლადიმერ რუსია („მართვე")
მალხაზ ჩუბინაშვილი („მართვე")
დავით ნემსაძე (გლდანის სკ.)
დავით გობეჯიშვილი (გლდანის სკ.)
გრიგოლ გაბედავა (გლდანის სკ.)
ლაშა გუჯეჯიანი („მართვე")

***მთავარი მწვრთნელი*** ლევან აბესაძე.
***მწვრთნელი*** ბექა ორჯონიკიძე

### ცხენოსნობა

ირაკლი ნარმანია (ოჩამჩირე)
გიორგი ჩიქოვანი (თბილისი)
ივანე ნორაკიძე (თბილისი)
ირაკლი ბულისკირია (სოხუმი)

***გუნდის წარმომადგენელი*** ბაქარ გაჩეჩილაძე
***უფროსი მწვრთნელი*** ლაშა ჯაიანი.
***მწვრთნელი*** ივანე ყურუა.

### მხატვრული ტანვარჯიში

ქეთევან ბაკურიძე (თბილისი)
ქეთევან ხატიაშვილი (თბილისი)
სალომე ჭყონია (თბილისი)
თათია დონაძე (თბილისი)

***მწვრთნელი*** ელისო ბედოშვილი.
***მსაჯი*** ბელა კობალაძე.

### ჭადრაკი

ლევან ფანცულაია (თბილისი)
გაიოზ ნიგალიძე (ბათუმი)
ნანა ძაგნიძე (თბილისი)
ბელა ხომენაშვილი (თელავი)

***მწვრთნელი*** — ხელმძღვანელი აკაკი იაშვილი.

### ფეხბურთი

ზვიად ჩალაძე (35-ე სკ.)
კახა ჯინჭარაძე (35-ე სკ.)
ლაშა ჭელიძე (35-ე სკ.)
ანზორ კალაძე (35-ე სკ.)
ბესო მიქიაშვილი (35-ე სკ.)
გიგა კუტივაძე („ავაზა")
გოჩა ხოჯავა („ავაზა")
ზაალ ელიავა („ავაზა")
გივი კაპანაძე („ავაზა")
ზურაბ კვახაძე (35-ე სკ.)
გოგი ფიფია (35-ე სკ.)
გიორგი ჭელიძე (35-ე სკ.)
ვასილ გუჩაშვილი (35-ე სკ.)
შოთა ჭელიძე (35-ე სკ.)
დათო დეკანოსიძე („ავაზა")
ირაკლი ჩაჩუა („ავაზა")

***მთავარი მწვრთნელი*** კობა ჟორჟიკაშვილი
***მწვრთნელი*** ივანე ლუცენკო
***მსაჯი*** კახაბერ მესხი.

## ჟორჟიკაშვილის შეგირდები

კობა ჟორჟიკაშვილმა შეგირდებს ისევ მოუხმო და დღეს საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები მოსკოვს გაემგზავრება. 14-24 ივნისს ქართველი ჭაბუკები დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ახალგაზრდულ თამაშებში იასპარეზებენ. ფეხბურთელთა ტურნირში 16 გუნდი მონაწილეობს. ჯგუფურ ტურნირში ჩვენი მეტოქეები იქნებიან მოსკოვის, უზბეკეთისა და ლიტვის გუნდები. ჯგუფიდან გასული ორი საუკეთესო გუნდი შემდგომ ეტაპზე გააგრძელებს ასპარეზობას.

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რომელ წელს შემოიღეს ყვითელი ბარათი ფეხბურთში?***
ა — 1968 წელს
ბ — 1969 წელს
გ — 1970 წელს

***2. ვინ იმსაჯა XV მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი?***
ა — ბუისაიმმა,
ბ — პულმა
გ — ტორესმა

***3. 1986 წლის ჩემპიონატში რომელი გუნდების შეხვედრაში გაიტანა მარადონამ პირველი გოლი?***
ა — ინგლის-არგენტინის
ბ — ბულგარეთ-არგენტინის
გ — ურუგვაი-არგენტინის

***4. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში რა ანგარიშით დასრულდა ჯგუფურ ტურნირში სსრ კავშირ-უნგრეთის მატჩი?***
ა — 2-0
ბ — 3-1
გ — 6-0

***5. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში რომელი გუნდები შეხვდნენ ფინალურ მატჩში?***
ა — ბრაზილია — იტალია
ბ — იტალია — ჰოლანდია
გ — არგენტინა — ჰოლანდია

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-გ.

# კიოკუშინკაი-ს უმაღლეს საფეხურზეა... პრეზიდენტი

ტოქიო აიკიდოში მოსკოვის პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა შარშან, წლეულს კი რუსეთის დედაქალაქმა უკვე მეორე ტურნირს უმასპინძლა. პირველ ტურნირში ამ სახეობაში საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ სიხარულიძემ და თემურ კარანაძემ პრემიერობა მოიპოვეს „კატაში", „კუმიტეში" კი ვახტანგი მეორე იყო. წლეულს ვახტანგ სიხარულიძემ „კუმიტეში" უკვე ოქროს მედალი დაისაკუთრა. თუ ვიტყვით, ტოქიო აიკიდოში არის მხოლოდ აბსოლუტური წონითი კატეგორია, ვახტანგის გამარჯვება უდავოდ თვალსაჩინო მიღწევაა. ჩვენებს „კატაში" ჰქონდათ წარმატების შანსი, მაგრამ უსახსრობის გამო მეორე მონაწილის მივლინება მოსკოვში ვერ მოხერხდა.



„სექტემბრიდან მზადებას ვიწყებთ მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ასპარეზობა გაისად ჩატარდება ინგლისში. იმედია, გამოინახება გამგზავრების თანხა. მინდა გითხრათ ისიც, რომ სწორედ დაფინანსების მიზეზით ვერ მივემგზავრებით ლაი საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ამ თვეში გაიმართება აშშ-ში" — თქვა ვახტანგ სიხარულიძემ.

ც. ბაქრაძე

*სურათზე: „კუმიტეში" გამარჯვებული ვახტანგ სიხარულიძე (შუაში) და პრიზიორები.*

# გურულებმა უმასპინძლეს



საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის ეგიდით გურიის კარატე-დოს ფედერაციამ (პრეზიდენტი მერაბ თურქია) გამართა გურიის ღია პირველობა. ტურნირი აქ სხვა დროსაც ჩატარებულა, მაგრამ ეს ყველაზე მასშტაბური გამოდგა. შეჯიბრებას უმასპინძლა დაბა ნატანების დიდებულმა დარბაზმა. პირველობაში ასპარეზობდა ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად ყველა რეგიონის, 6-დან 18 მდე ასაკის 200-მდე სპორტსმენი. გურიის სამხარეო ხელმძღვანელობისა და ნატანების გამგეობის ძალისხმევით ტურნირი მაღალ დონეზე მოეწყო. გამარჯვებულებს და პრიზიორს გადაეცათ მედლები, ფასიანი საჩუქრები, დიპლომები. დაწესებული იყო სპეციალური პრიზები.

# ბავშვთა ფეხბურთი

## დიდი „დინამოს" პატარა გამარჯვებულები

«ნორჩი დინამოელი»



*მარცხნიდან – I რიგში: თ. გელიაშვილი, ლ. ნიკოლაიშვილი, გ. ხაბელაშვილი, ს. რეხვიაშვილი, ლ. ალავიძე; II რიგში: ზ. წიწქალაძე, გ. მიქიაშვილი, ქ. მამულაშვილი, დ. ტაბიძე, ს. მამულაშვილი, ა. სულთანიშვილი; მწვრთნელი სლავა მერეჩკო. (ფოტოები რობერტ ბაგოიანისა)*

„ლელოს" წინა ნომერში ვწერდით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ბავშვ ფეხბურთელთა ტურნირის შესახებ. შეჯიბრება ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფში. ჩვენ უკვე გაგაცანით 1992 წლიანთა შედეგები. დღეს წარმოგიდგენთ 1993 წლიანებში გამარჯვებულ გუნდს და პრიზიორებს.

ამ ასაკში მონაწილე 8 გუნდიდან ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდა „დინამო" (მწვრთნელი — სლავა ვრეჩკო) და „მორკინალი" (მწვრთნელები — მამუკა ელიაშვილი და გიზო ზიბზიბაძე). გამარჯვება დინამოელებმა. მესამე ადგილი წილად ხვდა „საბურთალოს" (მწვრთნელი — თემურ შალამბერიძე).

«მორკინალი»



«საბურთალო»



## კურიოზები გნებავთ? ა, ბატონო

# ნამდვილად გეშლებით, არა ვარ, ბატონო, თენგიზ გიორგაძე

ჭადრაკის მოყვარულთა წინაშე თენგიზ გიორგაძეს წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. ქართული ჭადრაკის მემატიანის კალამს ეკუთვნის უამრავი ნაშრომი, რომელთა ჩამოთვლაც საკმაო დროს წაიღებდა. ბატონ თენგიზზე ჩვენი საუბრის დღევანდელი თემა სულ სხვა რამ არის. მას ცხოვრებაში ბევრი კურიოზი გადახდენია თავს, ბევრი მათგანი საზოგადოებამ ქართული პრესის ფურცლებიდან თუ სპორტული გამოცემებიდან შეიტყო. გთავაზობთ ორ კურიოზს, რომელიც საზოგადოე-

1969 წელი. თბილისში, რუსთაველის თეატრში მიმდინარეობს მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ნონა გაფრინდაშვილსა და პრეტენდენტ ალა კუშნირს შორის (აქვე გეტყვით, რომ ამ მატჩის პირველი ნახევარი თბილისში ჩატარდა, მეორე მოსკოვში). თენგიზ გიორგაძე სატელევიზიო ჟურნალ „სამორინეში" მიმოიხილავდა ხოლმე პარტიებს. ყოველ პარტიის დასრულებისთანავე ბატონი თენგიზი ავტობუსით მიემართებოდა ხოლმე ტელევიზიაში. ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორი ინტერესით ადევნებდა თვალს გაფრინდაშვილ-კუშნირის შეხვედრას მთელი საქართველო. იმ დროს ხალხი, რაღა თქმა უნდა (ალბათ სატელევიზიო გამოსვლების „ბრალი" იყო), ქუჩაშიც ცნობდა თენგიზ გიორგაძეს. როცა ის ავტობუსში ადიოდა, ყოველთვის გარს ეხვეოდნენ და პრაქტიკულად ალაპარაკებდნენ იმას, რაც ტელევიზიაში უნდა ელაპარაკა, — ე.ი. გენერალურ რეპეტიციას გადიოდა სატელევიზიო გამოსვლამდე... ერთხელაც, ისეთი ინტერესით უსმენდნენ ავტობუსის მგზავრები გიორგაძეს, რომ ეს უკანასკნელი ტელევიზიის წინ გაჩერებაზე აღარ ჩაუშვეს. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, სპორტის სასახლესთან ჩამოსვეს. მეორე დღეს, თენგიზმა გადაწყვიტა, ტაქსით ემგზავრა, მაგრამ ტაქსის მძღოლმა იცნო თუ არა, ჯერ პარტიის პერიპეტიები მოაყოლა, შემდეგ ფულიც არ გადაახდევინა. ამის შემდეგ კი, თენგიზმა სთხოვა ტელევიზიის ხელმძღვანელობას, რომ მისთვის მანქანა გამოეყო... კურიოზები ამით არ დასრულებულა. ერთ დღეს მატჩის მონაწილეები ისვენებდნენ და ბატონი თენგიზი ქუჩაში სეირნობდა. ერთ მომენტში ვიღაც მამაკაცი მიეჭრა, — თქვენ ბატონი თენგიზ გიორგაძე არ ბრძანდებით?

„შევატყვე, რომ მატჩის თაობაზე დამიწყებდა გამოკითხვას და ვუპასუხე. ბუშლებით ბატონო, ვიღაცაში ნამდვილად არ ვარ თენგიზ გიორგაძე-მეთქი. არ მომეშვა, განდა თუ არა, თქვენ ბრძანდებით. გაგულისებულმა ლამის ვიყვირე, არ ვარ ბატონო, იმ თენგიზ გიორგაძის დედა ვატირე-მეთქი. შეცბუნებული გაბრუნდა უკან და გავიგონე, თუ როგორ გადაულაპარაკა თავის თანმხლებ მეგობარს: კი მაგრამ, ბიჭო, ხმითაც როგორ წააგავსო".

თენგიზ ჩოგანიძე

P.S. აჰა, ბატონო, კიდევ ერთი „ცოცხალი" კურიოზი. თურმე ბატონ თენგიზ გიორგაძეს ახლობლები შეუჩნდნენ, შენ ახლაც „ლელოში" მუშაობ ჟურნალისტად და ფსევდონიმით სარგებლობო. თურმე ამ რუბრიკის წამყვანი, — თქვენი მონამორჩილი თენგიზ გიორგაძე ვეგონივარ. ახლა მე გეუბნებით, არ ვარ ბატონო თენგიზ გიორგაძე. ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი კი თავის ახლობლებს არწმუნებს – არ ვარ ბატონო მე თენგიზ ჩობანიძეო. რას იზამ, ბატონო თენგიზ, ეს ცხოვრება ხომ კურიოზებით არის აღსავსე.

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს" შეძენა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამეგობროს" (რედაქციის წინ, კოსტავას, 14) გამავრცელებელთან. მიიღება დაკვეთაც.

გამოიწერეთ
ლელო
2002 წლის
II ნახევრისათვის



### უეფას რეგიონთა თასი

# საევროპო სამზადისი

მოყვარულ ფეხბურთელთათვის უეფას მიერ ორგანიზებული რეგიონთა თასის გათამაშება რამდენიმე წელიწადია ტარდება. ფაქტობრივად ეს არის ევროპის ჩემპიონატი მოყვარული ფეხბურთელებისთვის. ჩვენებურები ამ ტურნირში მესამედ მონაწილეობენ. პირველად, საქართველოს რეგიონულმა ნაკრებმა შეჯიბრებაში 1999 წელს ითამაშა. შესარჩევ ეტაპს 12-15 ივნისს თბილისმა უმასპინძლა. ჩვენი მეტოქეები იყვნენ რუსეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის რეგიონული გუნდები. ჯონი ჯანელიძის დამოძღვრილმა გუნდმა ჯგუფური ტურნირი მოიგო და ტურნირში ფინალურ ეტაპზე ითამაშა. რვა საუკეთესო გუნდს შორის ქართველებმა მეხუთე ადგილი დაიკავეს. შემდგომ ტურნირში კახეთის რეგიონის გუნდი მონაწილეობდა.

18 ივნისს, 12 საათზე თბილისის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ოფისში (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძველი შენობა, იამანიძის 5-ში) თბილისის მოყვარულ ფეხბურთელთა რეგიონული გუნდის წარმომადგენლები ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე იწვევს. საუბარი ტურნირისთვის გუნდის მზადებას და პერსპექტივებს შეეხება.

## ცხრამეტი ივნისი არბიტრის დღეა

მეოთხე წელიწადია ჩინებულ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. 19 ივნისს ქართველ მსაჯთა კორპუსი „არბიტრის“ დღეს აღნიშნავს. წლეულსაც, ქვეყნის საფეხბურთო მსაჯები სრულად შეიკრიბებიან. დაგეგმილია დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეთა მსაჯების გუნდების ამხანაგური მატჩი. მსაჯთა კორპუსი შეხვდება სფფ-ს ხელმძღვანელებს და ერთგვარ ანგარიშს ჩააბარებს. დაისახება სამომავლო გეგმები. 1-4 ივლისს ჩვენს არბიტრებს უეფას პროგრეს-კურსებს ჩაუტარებს ცნობილი რუსი არბიტრი ალექსეი სპირინი.

# რეგიონული ლიგა

### აღმოსავლეთის ზონა

**XXXVII ტური**

ჯავახი — თბილისი 0-3
ჭაბუკიანი — აკადემია 3-0
კრწანისი — ალაზანი 1-2
მაუდი — ოლიმპიკი 3-0
ლიახვი — ვიტ ჯორჯია2 1-3
მცხეთა — ზოოვეტი 1-2
დინამო3 — ივერია 2-4
მრეტები — გორდა2 0-4
ცხუმი — მესხეთი 1-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 35 | 26 | 6 | 3 | 75-15 | 84 |
| ივერია | 35 | 26 | 2 | 7 | 97-43 | 80 |
| მაუდი | 35 | 24 | 5 | 6 | 60-31 | 77 |
| ალაზანი | 35 | 24 | 4 | 7 | 89-30 | 76 |
| ზოოვეტი | 35 | 22 | 2 | 11 | 66-38 | 68 |
| ჭაბუკიანი | 35 | 19 | 9 | 7 | 65-32 | 66 |
| ცხუმი | 35 | 19 | 5 | 11 | 72-30 | 62 |
| ვიტჯორჯ2 | 35 | 18 | 7 | 10 | 73-37 | 61 |
| მესხეთი | 35 | 19 | 2 | 14 | 52-46 | 59 |
| ოლიმპიკი | 34 | 16 | 6 | 12 | 64-44 | 54 |
| დინამო3 | 35 | 13 | 8 | 14 | 52-46 | 47 |
| აკადემია | 35 | 13 | 8 | 14 | 48-51 | 47 |
| დიახვი | 34 | 12 | 3 | 19 | 44-65 | 39 |
| გორდა2 | 35 | 9 | 9 | 17 | 48-55 | 36 |
| კრწანისი | 35 | 10 | 4 | 21 | 47-71 | 34 |
| თბილისი | 35 | 5 | 6 | 24 | 37-101 | 21 |
| მერანი3 | 35 | 5 | 4 | 26 | 24-91 | 19 |
| მრეტები | 36 | 3 | 6 | 27 | 29-85 | 15 |
| ჯავახი | 35 | 0 | 1 | 34 | 17-144 | 1 |

### დასავლეთის ზონა

**XXXVII ტური**

საირმე — საპოვნელა 0-3
ჩიხურა — სქური 3-1
საოხინო — კოლხეთი2 1-3
ლუკა — ინტერი 3-2
მაღაროელი — დინამო2 3-0
გზები — მერცხალი 1-3
ეგრისი — დინამო (სოხ) 3-0
ოკრიბა — სამეგრელო 5-2
დინამო (ზ) — სულორი 3-1
მეტალურგი2 — გურია2 3-0

*გადატანილი მატჩი*
დინამო (სოხ) — მერცხალი 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 37 | 30 | 1 | 6 | 88-37 | 91 |
| მერცხალი | 36 | 28 | 4 | 4 | 80-21 | 88 |
| საპოვნელა | 36 | 27 | 5 | 4 | 107-33 | 86 |
| დინამო (ზ) | 36 | 27 | 4 | 5 | 84-34 | 85 |
| მაღაროელი | 37 | 25 | 2 | 10 | 83-44 | 77 |
| გურია2 | 37 | 18 | 4 | 15 | 81-52 | 58 |
| კოლხეთი2 | 37 | 15 | 10 | 12 | 51-39 | 55 |
| სქური | 37 | 15 | 9 | 13 | 56-55 | 54 |
| ინტერი | 37 | 14 | 8 | 15 | 52-54 | 50 |
| სალხინო | 37 | 15 | 3 | 19 | 56-69 | 48 |
| ჩიხურა | 35 | 15 | 3 | 17 | 45-63 | 48 |
| ეგრისი | 37 | 13 | 3 | 21 | 56-62 | 42 |
| დინამო2 | 37 | 12 | 5 | 20 | 38-65 | 41 |
| ლუკა | 36 | 12 | 5 | 19 | 47-76 | 41 |
| ოკრიბა | 37 | 12 | 2 | 23 | 47-81 | 38 |
| გზები | 37 | 10 | 7 | 20 | 42-62 | 37 |
| საირმე | 37 | 11 | 3 | 23 | 34-63 | 36 |
| მეტალურგი | 36 | 10 | 6 | 20 | 43-61 | 36 |
| დინამო (სოხ) | 37 | 4 | 9 | 24 | 33-89 | 21 |
| სამეგრელო | 37 | 5 | 4 | 28 | 36-94 | 19 |

## ბათუმელი ყმაწვილები ფინალისკენ მიიწევენ

საინტერესოდ წარიმართა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში 1988-1989 წლებში დაბადებულთათვის. აჭარა-გურიის ზონაში 16 გუნდი ორ წრედ ჩაება ასპარეზობაში. აჭარიდან შვიდი გუნდი გამოდიოდა — „დინამოს“ სამი, ბათუმის საფეხბურთო სკოლის ორი, ხელვაჩაურის „კახაბერი“ და ბათუმის „ლუკა“.

წარმატებით ისპარეზა ბათუმის საფეხბურთო სკოლის პირველმა გუნდმა (სკოლის დირექტორი გია ჯორბენაძე, მწვრთნელი ემზარ იმნაძე), რომელმაც ზონაში პირველობა დაისაკუთრა. მეორე ადგილზეა ჩოხატაურის გუნდი, სწორედ ისინი გააგრძელებენ თასისათვის ბრძოლას.

„ლელოს“ რესპონდენტი გაესაუბრა გამარჯვებულთა მწვრთნელს ემზარ იმნაძეს. „გუნდმა 30 მატჩი ჩაატარა, მოიგო-27, გაიტანა 136 და მიიღო 26 გოლი. ახლა ჩვენი ამოცანაა ფინალში გასვლა, მაგრამ ნახევარფინალში გასვლასაც წარმატებად ჩავთვლით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აჭარაში საფეხბურთო ბუმია, მაგრამ სავალალოა მატერიალური ბაზა, მოუწყობელი და მოუვლელია მოედნები, არასაკმარისია ინვენტარი, ფორმა“ — თქვა მწვრთნელმა.

**ოთარ მურვანიძე,**
*„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი, ბათუმი.*

*სურათზე: ტურნირში გამარჯვებული ბათუმის საფეხბურთო სკოლის I გუნდი. (შალვა ართმელიძის ფოტო)*

## «იბერია» საუკეთესო გუნდია

„იბერიას“ სტადიონზე ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ ჩაატარა ტურნირი 1986 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთათვის.

ტურნირს ხელმძღვანელობდა გია ბარამიძე. მონაწილეობდა 12 გუნდი. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ საფეხბურთო კლუბი „იბერია“ და „სიხარული“ 4-3. გაიმარჯვა „იბერიამ“ (მწვრთნელი გურამ ხეცურიანი). მეორე ადგილზე გავიდა „სიხარული“ (მწვრთნელი შუქრი ჭუმბურიძე).

ტურნირმა გამოავლინა საუკეთესო ფეხბურთელები: მეკარე — უჩა ტუხაშვილი („სიხარული“); მცველი — გივი ბუჯიაშვილი; ნახევარმცველი — დათო კელაპტრიშვილი („იბერია“); თავდამსხმელი — კოტე ჯულაყიძე („სიხარული“), ბომბარდირი — ლევან ცანავა („იბერია“). „იბერია“ მარცხნიდან — I რიგში: გ. ჩქოტუა, ფოლადიშვილი, გ. ყანდარელი, ლ. დალაქიშვილი, დ. ნაკაშია, II რიგში: ვ. ხარაზიშვილი, გ. ბუჯიაშვილი, გ. გოცირიძე, ლ. ჯიჯავაძე, თ. ხაჩიძე, ჯ. არაბული, დ. კელეპტრიშვილი, ლ. ცანავა. მწვრთნელი: ბ. ხეცურიანი.

*ფოტო რობერტ ბაგოიანისა.*




## ქუთაისის „ტორპედო“ ალექსანდრე შტელინი უხელმძღვანელებს

რევაზ ძოძუაშვილის მემკვიდრე გამოჩნდა! საქართველოს სამგზის ჩემპიონს ქუთაისის „ტორპედოს“ ამიერიდან უკრაინელი სპეციალისტი, 49 წლის ალექსანდრე შტელინი უთავკაცებს. საინტერესოა, რომ შტელინი უკვე მესამედ ჩამოდის საქართველოში. პირველად ის 1989 წელს თბილისის „დინამოში“ მოიწვიეს რიგით მწვრთნელად, ხოლო 2000 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში „ტორპედოშიც“ უმუშავია.

სხვადასხვა დროს შტელინი წვრთნიდა ბელგიურ გუნდებს „მონტენეი“, „ლეჟი“ (მეორე დივიზიონი), მოგვიანებით უკრაინის კლუბებში — „ტილიგულში“, კიევის ცსკა-სა და ზაპოროჟიეს „მეტალურგშიც“ უმუშავია ასე რომ, „ტორპედოს“ საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელი წარუძღვება.




# ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი

## ფილიპ ტრუსიე ჩემპიონატის დამთავრებისთანავე იაპონიის ნაკრებს დატოვებს

იაპონიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრანგმა ფილიპ ტრუსიემ განაცხადა, რომ მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე თავის პოსტს დატოვებს. „მსოფლიო ჩემპიონატი — ეს სამუშაოს მწვერვალია, მაგრამ ვიმეორებ, — მე მაინც წავალ“ — თქვა ტრუსიემ.

● **ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ მისი მიზანი ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშია, რომლის შემდეგაც სანაკრებო კარიერას დაასრულებს.**

## პაოლო მალდინიმ რეკორდი დაამყარა

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მცველმა პაოლო მალდინიმ დაამყარა ახალი რეკორდი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში — მან 22 მატჩი ჩაატარა შეუცვლელად. წინა მიღწევა ეკუთვნოდა გერმანიის ნაკრების კაპიტანს უვე ზეელერს, რომელსაც 1966 წლის ჩემპიონატისათვის 21 მატჩი ჰქონდა ჩატარებული ისე, რომ არ შეუცვლიათ.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს თბილისის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელს ილია რუხაძეს შვილის**

**თორნიკე რუხაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი**

**თორნიკე რუხაძე**

პანაშვიდი 14 ივნისს. ქ. მცხეთა აგურის ქარხნის დასახლება, გამარჯვების ქუჩა №18.

გამოსვენება 15 ივნისს, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაოსთან) 15 საათზე.



ბრაზილია — კოსტა-რიკა

## ბრაზილიელებმა ნახევარი ქულაც ვერ „გაიმეტეს"

**მატჩი №41. კორეა. სუვონი. 13 ივნისი. C ჯგუფი. III ტური.**
**ბრაზილია – კოსტა-რიკა 5-2 (3-1)**
***ბრაზილია:*** მარკოსი, კაფუ, ლუსიო, პაულისტა (რიკარდინიო), ჟილბერტო, რონალდო, პოლგა, ედილსონი (კლებერსონი), ჟუნიორი, რივალდო (კაკა).
***კოსტა-რიკა:*** ლინისი, მარინი, რაიტი, ლოპესი, სოლისი (ფონსეკა), ვანჩოპე, სენტენო, გომესი, მარტინესი (პარლსი), უოლასი (ბრიუსი), კასტრო.
*გააფრთხილეს:* კაფუ.
*გოლები:* 1-0 მარინი (10, საკ. კარში), 2-0 რონალდო (13), 3-0 ედმილსონი (38), 3-1 ვანჩოპე (39), 3-2 გომესი (56), 4-2 რივალდო (62), 5-2 ჟუნიორი (64)
*მსაჯი:* გამალ განდური (ეგვიპტე)

ბრაზილიის ნაკრები ოდნავ სახეშეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე კოსტა-რიკის გუნდთან შეხვედრაში, ვინაიდან წინა ტურში ჩინეთის ნაკრების განადგურების შემდეგ სამხრეთ ამერიკელებმა ვადამდე მოიპოვეს მერვედფინალის საგზური და მთავარმა მწვრთნელმა გუნდის ზოგიერთ ძირითად მოთამაშეს დასვენების საშუალება მისცა. რაც შეეხება კოსტარიკის ნაკრებს, ამ უკანასკნელს ფრეც ჰყოფნიდა ჯგუფიდან გასასვლელად.

ბრაზილიელებმა პირველივე წუთებიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და 15 წუთში ორი გოლის გატანა შეძლეს. მე-10 წუთზე მარინმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, გავიდა სამი წუთი და მეორე გოლი რონალდომ გაიტანა მეტოქის კარში.

ცხადია, მატჩის ასეთი მიმდინარეობა ხელს არ აძლევდათ კოსტარიკელებს. პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში თურქები ჩინეთის სუსტ გუნდს ამარცხებდნენ. ამიტომ კოსტარიკის ნაკრები გააქტიურდა. თუმცა ბევრი ვერაფერი ღირებული შექმნა, პირიქით, 38-ე წუთზე ედმილსონმა ანგარიში 3-0 გახადა, თუმცა, ერთ წუთში ვანჩოპემ საპასუხო გოლის გატანა შეძლო.

მეორე ნახევარი კოსტარიკელთა შეტევებით დაიწყო. მათ 56-ე წუთზე სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს (თავი გომესმა გამოიჩინა). თუმცა რვა წუთის განმავლობაში რივალდომ და ჟუნიორმა კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი. დარჩენილ ნახევარ საათში სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელებმა კოსტა-რიკელებს თავისუფლად თამაშის საშუალება მისცეს, ამ უკანასკნელთ გოლის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი მიეცათ, თუმცა თავდამსხმელები ბოლო მომენტში ცდებოდნენ. საბოლოოდ, ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს 5-2 და ქულათა მაქსიმუმით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

## თურქებს მერვედფინალში გასვლაში ბრაზილიელები დაეხმარნენ

**მატჩი №42. კორეა. სეული. 13 ივნისი. C ჯგუფი. III ტური.**



თურქეთი – ჩინეთი

**თურქეთი – ჩინეთი 3-0 (2-0)**
***თურქეთი:*** რუშტე (ომერი), აშიკი, ბიულენტი, ფატიხი, შუქური, შაში, თუგაი (ტაიფური), ბასტიურკი (ინხალი), უნსალი, ემრე, დავალა.
***ჩინეთი:*** ცზიანი, პუ, ვუ ჩენინი (ცზიან შაო), ლი ცი, ჩენ იანი, (ივი ჰენვეი), ლი ვაიფენი. ჩჟაო ძიუი ჩჟე, ჰაიდონი (ბო). დუ ვეი. სიაოპენი. იუნლონი.
*გააფრთხილეს:* აშიკი, ემრე, ჰასანი, შაში, პუ, ლი ვაიფენი.
*გააძევეს:* შაო ცზიაი.
*გოლები:* 1-0 შაში (6), 2-0 ბიულენტი (9), 3-0 დავალა (83)
*მსაჯი:* ოსკარ რუისი (კოლუმბია).

მას შემდეგ, რაც თურქეთის ნაკრებმა წინა ტურში კოსტა-რიკელებთან შეხვედრაში გამარჯვებას ვერ მიაღწია, ბოლო ტურისთვის მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენა თავი. მათ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება თუ იხსნიდა ჩინეთის სუსტ გუნდთან მატჩში. თუმცა, თურქი ფეხბურთელების მერვედფინალში გასვლა ამ შემთხვევაშიც კი, ბრაზილია — კოსტა-რიკის შეხვედრის შედეგზეც იყო დამოკიდებული.

თურქეთის ნაკრებმა მთავარი საქმე პირველ ათ წუთში მოათავა. მეექვსე და მეცხრე წუთებზე შაშიმ და ბიულენტმა ორი გოლი გაიტანეს ჩინელთა კარში და თანაგუნდელები დაამშვიდეს. შუა ტაიმში ჩინელი ფეხბურთელები გააქტიურდნენ.

მათ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, თუმცა გოლის გატანა მაინც ვერ მოახერხეს. მეორე ტაიმის დაწყებიდან 12 წუთი იყო გასული, როცა ჩინელები მოედანზე ათნი დარჩნენ. უხეშობისათვის მსაჯმა მოედნიდან შაო ცზიაი გააძევა.

ცხადია, რიცხვნაკლული ბორა მილუტინოვიჩის შეგირდებმა ჩემპიონატზე ერთი გოლის გატანაც ვერ იზეიმეს. მატჩს საბოლოო წერტილი დავალას გოლმა დაუსვა — თურქეთის ნაკრებმა გაიმარჯვა 3-0 და მერვედფინალში გავიდნენ ბრაზილიელებთან ერთად.

## მერვედფინალის მიღმა

**მატჩი №44. იაპონია. იოკოჰამა. 13 ივნისი, G ჯგუფი. III ტური.**
**ეკვადორი – ხორვატია 1-0 (0-0)**
***ეკვადორი:*** საბალოსი, პოროსო, ურტადო, დე ლა კრუსი, ობრეგონი (აგინაგა) გერონი, დელგადო, მ. აიოვი, ჩალა, კ. ტენორიო (კავიედესი), მენდოსი.
***ხორვატია:*** პლეტიკოშა, სიმუნიჩი, ტომაში, რაპაიჩი, ნ. კოვაჩი (ვრანიეში), ბოკშიჩი, სარიჩი (სტანიჩი), იარნი, ოლიჩი, შიმიჩი (ვუგრინეცი), რ. კოვაჩი.
*გააფრთხილეს:* ტომაში.
*გოლები:* 1-0 მენდესი (48)
*მსაჯი:* ვილიამ მატუსი (კოსტა-რიკა)

ხორვატ ფეხბურთელებს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. მათი ერთადერთი მიზანი მხოლოდ გამარჯვება იყო, ვინაიდან ეკვადორელებთან მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, ხორვატიის ნაკრები იმ შემთხვევაში გავიდოდა მერვედფინალში, თუ მექსიკელები იტალიელთა დამარცხებას შეძლებდნენ. ორივე მატჩი ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა და ცხადია, მოვლენების განვითარება არავინ უწყოდა.

პირველ ტაიმში თამაში ორმხრივი შეტევებით მიმდინარეობდა, თუმცა რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ ერთხელ შეიქმნა და ისიც ტაიმის მიწურულს, ბოკშიჩის დარტყმის შემდეგ ერთ-ერთმა ეკვადორელმა მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

მეორე ნახევარი კი სენსაციურად დაიწყო: ეკვადორელთა ერთ-ერთი იერიში მენდესმა გოლით დაასრულა და ეკვადორის ნაკრებს მერვედფინალში გასვლის პერსპექტივაც კი გაუჩინა.



ეკვადორი — ხორვატია

ხორვატი ფეხბურთელები ძირითადად ქაოსურად უტევდნენ. ამ მატჩში აშკარად გამოჩნდა, რომ იტალიელებთან მატჩში გამარჯვება მართლაც რომ შემთხვევითი იყო. ეკვადორის ნაკრებმა ბოლომდე შეინარჩუნა მინიმალური უპირატესობა და ხორვატიის ნაკრები მერვედფინალური ეტაპის მიღმა დატოვა, ვინაიდან იტალიელებმა ფრეს მიაღწიეს მექსიკელებთან შეხვედრაში.

## დღეს ოთხი მერვედფინალისტის ვინაობა გაირკვევა

მაშ ასე, მსოფლიო ჩემპიონატზე 12 მერვედფინალისტი უკვე ცნობილია. დღეს შედგება მესამე ტურის მატჩები D და H ჯგუფებში, რის შემდეგაც კიდევ ოთხი მერვედფინალისტის ვინაობა გვეცოდინება.

A ჯგუფის გამარჯვებული დანიის ნაკრები, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები შერცხვენილი (თანაც უგოლოდ) გაუშვა შინ, მერვედფინალში ეთამაშება F ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ ინგლისის ნაკრებს. ხოლო სენეგალელებს მძიმე მატჩი ელით შვედეთის გუნდთან.

გერმანიის ნაკრებს, რომელიც E ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა, ამჯერად, B ჯგუფის მეორე ადგილოსანთან პარაგვაის ნაკრებთან ითამაშებს, ესპანელებს კი ირლანდიური ბარიერის გადალახვა მოუწევთ.

ბრაზილიის ნაკრების მეტოქე D ჯგუფის მეორეადგილოსანი იქნება, ხოლო თურქეთის ნაკრები იმავე D ჯგუფის გამარჯვებულს ეთამაშება.

იტალიის ნაკრები, რომელმაც G ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, მერვედფინალში D ჯგუფში გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო მექსიკის ნაკრები — D ჯგუფის მეორეადგილოსანს.

## ჩემპიონატის სტატისტიკა

**მატჩი №33. კორეა. ინჩეონი. III ტური. A ჯგუფი**
**დანია – საფრანგეთი 2-0**
***დანია:*** სორენსენი, ჰელვეგი, ლაურსენი, ჰენრიკსენი, ნ. იენსენი, ტოფტინგი (სტენ-ნილსენი 79), გრავესენი, რომედალი, იორგენსენი (გრონკიაერი 46), ტომასონი, პოულსენი (ბოგელუნდი 75).
***საფრანგეთი:*** ბარტეზი, კანდელა, ტურამი, დესაი, ლიზარაზუ, ვიეირა (მიკუ 70), მეკელელე, ვილტორდი (ჯორკაეფი 83), ზიდანი, დიუგარი (ჯ. სისე 54), ტრეზეგე.
*გოლები:* რომედალი (22), ტომასონი (67).
*გააფრთხილეს:* დიუგარი, პოულსენი, იენსენი.
*მსაჯი:* ვ. პერეირა (პორტუგალია)

**მატჩი №34. კორეა. სუვონი. III ტური. A ჯგუფი**
**სენეგალი – ურუგვაი 3-3**
***სენეგალი:*** ტ. სილვა, კოლი (ბეიე 63), დ. დიაწა, პ. მდიოპი, ო. დაფი, ა. სისე, ნდური (ფეიე 76). პ.ბ. დიოპი, ფადიგა, ა. კამარა (მ. ნდიაიე 67), დიუფი.
***ურუგვაი:*** კარინი, ლემბო, სორონდო (რეგუერო 31). მონტერო, დ. როდრიგესი, გარსია, ვარელა, მ. რომერო (ფორლანი 46), რეკობა, დ. სილვა, აბრეუ (რ. მორალესი 46).
*გოლები:* 1-0 ფადიგა (20 პ), 2-0, 3-0 პ.ბ. დიოპი (26,38), 3-1 მორალესი (46), 3-2 ფორლანი (69), 3-3 რეკობა (88 პ).
*გააფრთხილეს:* კამარა, დაფი, რომერო, კარინი, მარსია, კოლი, როდრიგესი, პ.ბ. დიოპი, დიუფი, მონტერო, ფადიგა, ბეიე.
*მსაჯი:* იან ვეგერეეფი (ჰოლანდია).

**მატჩი №35. იაპონია. შიზოუკა. III ტური. E ჯგუფი**
**კამერუნი – გერმანია 0-2**
***კამერუნი:*** ალიუმი. რ. კალა. რ. სონგი, ჩატო (სუფო 53), ჯერემი, ვომე, ლორენი, ფოე, ოლემბე (ნგომ კომე 64), ეტო'ო, მბომა (ქობი 82).
***გერმანია:*** კანი, ლინკე, რამელო, მეტელდერი, შნაიდერი (იერემისი 80), ჰამანი, ფრინგსი, ტიგე, ბალაკი, იანკერი (ბოდე 46). კლოზე (ნოივილი 84).
*გოლები:* ბოდე (50), კლოზე (79).
*გააფრთხილეს:* ფოე, იანკერი, ჰამანი, ბალაკი, რამელო, კანი, სონგი, ჩატო, ჯერემი, ოლემბე, სუფო, ციგე, ფრინგსი, სუფო, ლორენი.
*გააძევეს:* რამელო, სუფო.
*მსაჯი:* ხ. ნიეტო (ესპანეთი).

**მატჩი №36. იაპონია. იოკოჰამა. III ტური. E ჯგუფი.**
**საუდეთი – ირლანდია 0-3**
***საუდეთი:*** ალ. დეა ია, ალ ჯაჰანი (ა. ალ დოსარი 79), თუქარი, ალ შეჰრი, სულეიმანი (ჯუმაანი 68), ალ ხათრანი (ალ შლუბი 67), ალ. შაჰრანი, ალ ოვაირანი, ალ ტემიატი, ალ იამი, სულიმანი.
***ირლანდია:*** გივენი, ფინანი, ბრინი, სტონტონი, ჰარტი (ქუინი 46), ჰოლანდი. ჯინსელა (ვარსლი 89), გ. კელი (მაკატირი 80), კილბეინი, დ. დაფი, რობიინი.
*გოლები:* კინი (7), ბრინი (61), დაფი (87).
*გააფრთხილეს:* ალ ტემიატი, სტონტონი.
*მსაჯი:* მ. ვიერჟბოვსკი (პოლონეთი).

**მატჩი №37. მიიაგი. იაპონია. III ტური. F ჯგუფი**
**შვედეთი – არგენტინა 1-1**
***შვედეთი:*** ჰედმანი, მელბერგი, მიალბი, იაკობსონი, ლუკიჩი, ლინდეროტი, ა. სვენსონი (იონსონი 68), ალექსანდერსონი, მ. სვენსონი, ლარსონი, (იბრაჰიმოვიჩი 88), ოლბოკი (ა. ანდერსონი 46).
***არგენტინა:*** კავალიერო, შამოტი, სამუელი, პოჩეტინო, ხ. ძანეტი, ალმეიდა (ვერონი 63), სორინი (კილი გონსალესი 63), აიმარი, ორტეგა, ბატისტუტა (კრესპო 58), კ. ლოპესი.
*გოლები:* 1-0 ა. სვენსონი (59), 1-1 კრესპო (88).
ორტეგამ ვერ გაიტანა პენალტი.
*გააფრთხილეს:* [illegible] მ. სვენსონი, კილი გონსალესი, ლარსონი
*გააძევეს:* კანიჯა (არგენტინა, სათადარიგო სკამიდან)
*მსაჯი:* ა. ბუსაიმი (საემიროები)

**მატჩი №38. ოსაკა. იაპონია. III ტური. F ჯგუფი**
**ნიგერია – ინგლისი 0-0**
***ნიგერია:*** ენიეამა, იობო, ოკორონკვო, უდეზე, კრისტოფერი, სოდჯე, ოკოჩა, ობიორა, ოპაბუნმი (იკედია 86), აკვუეგბუ, აგაოვა.
***ინგლისი:*** სიმენი, მილსი, ფერდინანდი, კემპბელი, ე. კოული (ბრიჯი 85), ბათი, სქოულზი, სინკლერი, ბექჰემი, ჰესკი (შერინგემი 69), ოუენი (ვესელი 77).
*მსაჯი:* ბ. ჰალი (აშშ)

**მატჩი №39. ტეჯონი. კორეა. B ჯგუფი. III ტური**
**ს. აფრიკა – ესპანეთი 2-3**
***ს. აფრიკა:*** არენდსე, ნზამა, ა. მოკოენა, რადებე (მოლეფე 80), კარნელი, სიბაია, ზუმა, ტ. მოკოენა, ფორჩუნი (ლეკხეტო 83), ნომვეტე (კუმანტარაკისი 74), მაკარტი.
***ესპანეთი:*** კასილიასი, კ. ტორესი, ელგერა, ნადალი, ე. რომერო, ხავი, ხოაკინი, ალბელდა (სერხიო 52), მენდიეტა რაული (ლუის ენრიკე 82), მორიენტესი (ლუკე 77).
*გოლი:* 0-1 რაული (4), 1-1 მაკარტი (31), 1-2 მენდიეტა (45), 2-2 რადებე (53) 2-3 რაული (56).
*გააფრთხილეს:* ნზამა, კარნელი, ნომვეტე, ა. მოკოენა.
*მსაჯი:* ს. მანე (ქუვეითი)

**მატჩი №40. სეუგვიპო. კორეა. B ჯგუფი III ტური**
**სლოვენია – პარაგვაი 1-3**
***სლოვენია:*** დაბანოვიჩი, ბულაიჩი, მილინოვიჩი, კარიჩი, ა. ჩეჰი, ნოვაკი, ტავკარი, აჩიმოვიჩი (ნ. ჩეჰი 63), პავლინი (რუდონია 40), ციმეროტიჩი, ოსტერცი (ტიჯანი 78).
***პარაგვაი:*** ჩილავერტი, კასერესი, აიალა, გამარა, არსე, კანისა, ალვარენგა (ხორხე კამპოსი 54), კარდოზო (კუევასი 61, ფრანკო 90), ს. კრუზი, აკუნია, პარედესი.
*გოლები:* 1-0 აჩიმოვიჩი (45), 1-1 კუევასი (66), 1-2 კამპოსი (73), 1-3 კუევასი (84).
*გააფრთხილეს:* პარედესი, პავლინი, კარიჩი, რუდონია, მილინოვიჩი
*გააძევება:* პარედესი, ნ. ჩეჰი.
*მსაჯი:* ფ. რიზო (მექსიკა).

### A ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დანია** | **3** | **2** | **1** | **0** | **5-2** | **7** |
| **სენეგალი** | **3** | **1** | **2** | **0** | **5-4** | **5** |
| ურუგვაი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |

### E ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | **3** | **2** | **1** | **0** | **11-1** | **7** |
| **ირლანდია** | **3** | **1** | **2** | **0** | **5-2** | **5** |
| კამერუნი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| საუდეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-12 | 0 |

### B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | **3** | **3** | **0** | **0** | **9-4** | **9** |
| **პარაგვაი** | **3** | **1** | **1** | **1** | **6-6** | **4** |
| ს. აფრიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| სლოვენია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### F ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვედეთი** | **3** | **1** | **2** | **0** | **4-3** | **5** |
| **ინგლისი** | **3** | **1** | **2** | **0** | **2-1** | **5** |
| არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ნიგერია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |

### C ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბრაზილია** | **3** | **3** | **0** | **0** | **11-3** | **9** |
| **თურქეთი** | **3** | **1** | **1** | **1** | **5-3** | **4** |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |

### G ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მექსიკა** | **3** | **2** | **1** | **0** | **4-2** | **7** |
| **იტალია** | **3** | **1** | **1** | **1** | **4-3** | **4** |
| ხორვატია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| ეკვადორი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |

**ბომბარდირები**
**მ. კლოზე (გერმანია) — 5**
**ო. ტომპსონი (დანია) — 4**

**მერვედფინალები**
***15 ივნისი***
გერმანია — პარაგვაი
დანია — ინგლისი
***16 ივნისი***
შვედეთი — სენეგალი
ესპანეთი — ირლანდია

# ნბა



## „ლეიკერსი" კვლავ ჩემპიონია!

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" ზედიზედ მესამედ მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონობა. ფინალური სერიის მეოთხე მატჩში შაკილ ო'ნილმა და მისმა კამპანიამ კვლავ დაამარცხეს „ნიუ-ჯერსი" ანგარიშით 113:107. ამ შეხვედრაში მოედანზე მოქმედი მთავარი პირი კვლავ შაკილ ო'ნილი იყო, რომელმაც თავის გუნდს 34 ქულა შესძინა. მანვე ერთგვარი რეკორდიც დაამყარა ფინალურ სერიაში შედეგიანობის მხრივ. მისი საშუალო შედეგიანობა 36,3 ქულა იყო. წინა რეკორდი ეკუთვნოდა ჰაკიმს, რომელმაც 1995 წელს, ნბა-ს ფინალურ სერიებში „ორლანდოს" საშუალოდ 32,8 ქულა შესძინა.

გარდა ამისა, „ლეიკერსის" მწვრთნელი ფილ ჯექსონი ნბა-ს ოქროს მედლების მოპოვების რაოდენობის მიხედვით გაუთანაბრდა ლეგენდარულ არნოლდ აუერბახს.

**„ლეიკერსი" — „ნიუ ჯერსი" 113:107 (27:34, 31:23, 26:23, 29:27), სერიის ანგარიში 4-0.**

*„ლეიკერსი"*: ო'ნილი (34), ბრაიანტი (25), ფიშერი (13), ორი (12).
*ნიუ ჯერსი"*: მარტინი (35), კიდი (13), კიტლზი (11), ვან ჰორნი (7).

## ექვსი ერის პირველობისკენ გზა გაიხსნება?



კარდიფში შეიკრიბნენ რაგბის საერთაშორისო კავშირისა და მსოფლიოს ქვეყნების რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელები. განიხილეს ექვსი ერისა და ევროპის ერთა თასის სტრუქტურების გადახედვისა და კალენდრის საკითხები. სხდომაზე დადგინდა, რომ ექვსი ერის პირველობისა და ევროპის ერთა თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდების მხრიდან თანხმობის შემდეგ ამუშავდება ახალი სისტემა, რომელიც ამ ორ პრესტიჟულ შეჯიბრებას ერთმანეთთან დააკავშირებს. ამიერიდან ევროპის ერთა თასის მფლობელი შეხვდება ექვსი ერის პირველობაზე ბოლო ადგილზე გასულ გუნდს გადასათამაშებელ ორ რაუნდიან მატჩში, რომელშიც გამარჯვებული ექვსი ერის პირველობაზე ისპარეზებს.

## საქართველო მეცხრამეტეა

რაგბის საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი ეროვნული ნაკრები გუნდებისათვის. რეიტინგში გათვალისწინებულია მაისის შედეგებიც. საქართველოს ამჯერად მეცხრამეტე საფეხური უჭირავს, რაშიც „ბრალი" მიუძღვის სამხრეთ კორეის ნაკრებს, რომელიც წინა თვეში მეოცე ადგილზე იყო და მაისში წარმატებით ჩატარებული მატჩების შემდეგ სამი საფეხურით წაიწია წინ.

გთავაზობთ რეიტინგის პირველ ოცეულს: 1. საფრანგეთი, 2. ინგლისი, 3. ავსტრალია, 4.. ახალი ზელანდია, 5. სამხრეთ აფრიკა, 6. არგენტინა, 7. ირლანდია, 8. შოტლანდია, 9. უელსი, 10. ფიჯი, 11. სამოა, 12 ტონგა, 13 იაპონია, 14. კანადა, 15 იტალია, 16. აშშ, 17. სამხრეთ კორეა, 18. რუმინეთი, 19. საქართველო, 20. რუსეთი.

თენგიზ ჩობანიძე

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




14 ივნისი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ ბელგია – რუსეთი (11.20, პირდაპირი), პარაგვაი – კორეა (16.20, პირდაპირი), ბელგია – რუსეთი (21.00 ვიდეოჩანაწერი), *II არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ ტუნისი – იაპონია (11.20), პოლონეთი – აშშ (16.20, პირდაპირი), ტუნისი – იაპონია (18.30 ვიდეოჩანაწერი), პორტუგალია – კორეა (20.30, ვიდეოჩანაწერი), პოლონეთი – აშშ (23.00, ვიდეოჩანაწერი). *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.40). *მე-9 არხი.* მ/ჩ-ის დღიური (21.10). ***НТВ плюс футбол.*** ფეხბურთი. მ/ჩ ბელგია – რუსეთი (11.20), ტუნისი – იაპონია (13.20), ეკვადორი – ხორვატია (15.05), პოლონეთი – აშშ (16.20), პორტუგალია – კორეა (18.20), ბელგია – რუსეთი (21.35, ვიდეოჩანაწერი), ტუნისი – იაპონია (23.20, ვიდეოჩანაწერი), პოლონეთი – აშშ (ვიდეოჩანაწერი). ***НТВ плюс спорт.*** ფეხბურთი. მ/ჩ ტუნისი – იაპონია (11.20), ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი (14.00). ფეხბურთი. მ/ჩ პორტუგალია – კორეა (16.20), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (18.35), ტაილანდური კრივი (19.05), კრივი. მსოფლიო თასი. ფინალი. მე-2 ნაწილი (22.30). ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი (00.00). ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 12.00, 3.30), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (12.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები (13.45), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (15.45), ჩოგბურთი. სამეფო თასის ტურნირი (21.30), ფეხბურთი: მსოფლიო თასი „კლასიკო" (2.45), აზიის კულტურის თასი (3.00, 5.00).

15 ივნისი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ მერვედფინალური მატჩი (11.20 პირდაპირი), მერვედიფნალური მატჩი (16.20, პირდაპირი), მერვედფინალური მატჩი (21.00 ვიდეოჩანაწერი). *II არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ. მერვედფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი (18.30). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.40), *მე-9 არხი.* მ/ჩ-ის დღიური (21.10). ***НТВ плюс футбол.*** მ/ჩ 1/8-ის ფინალი (11.20, 16,20, 18.20, 21.35, 23.20). ***НТВ плюс спорт.*** დიდი რინგი (21.30), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 12.00, 3.30). ფეხბურთი. მსოფლიო თასი „კლასიკო" (14.30, 2.45), ჩოგბურთი. სამეფო თასი (21.00), ფეხბურთი. აზიის კულტურის თასი (3.00, 5.00).

16 ივნისი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ მერვედფინალური მატჩები (11.20, პირდაპირი, 16.20 პირდაპირი, 21.00 ვიდეოჩანაწერი). *მე-2 არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ-ის მერვედფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი (11.30), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.40), *მე-9 არხი.* ფეხბურთი: „მსოფლიო ფეხბურთი" (19.30), მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (21.00). ***НТВ плюс футбол.*** მ/ჩ-ის 1/8 ფინალური მატჩები (11.20, 16.20, 18.20, 21.35, 23.20), ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. „სტენლის თასი". ფინალი (11.45, 22.40). ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 12.00, 3.30), ჩოგბურთი. სამეფო ტურნირი (21.00). ფეხბურთი: მსოფლიო თასი „კლასიკო" (2.45), აზიის კულტურის თასი (3.00, 5.00).

# საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს

## მიღებას 2002 წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:



### დღის სწავლება

**1. მწვრთნელთა სპეციალობებზე**
(ქართული და რუსული სექტორი)

მიღება იწარმოებს სპორტის შემდეგ სახეობებში: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, ტრადიციული კარატე, ტაეკვონდო, ძალოსნობა, კრივი, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი და საცხენოსნო სპორტი, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, სათხილამურო სპორტი, ველოსპორტი, მთამსვლელობა, სამთო და სათხილამურო ტურიზმი, ჭადრაკი, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, რაგბი, საწყლოსნო სახეობები, მძლეოსნობა, სპ. ტანვარჯიში, მხ. ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი, სპორტული ცეკვები, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი.

გამოცდები ჩატარდება: სპორტის არჩეულ სახეობაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა" ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**2. პედაგოგიურ სპეციალობებზე მიღება იწარმოებს:**

ა) ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი (ქართული და რუსული სექტორი);

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობაში გადახრების მქონე პირებთან გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტი (ადაპტიური სპორტი);

გამოცდები ჩატარდება: 1. საერთო ფიზიკურ მომზადებაში; 2. ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა" ზეპირი); 3. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**3. დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობა**

გამოცდები ჩატარდება: საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა", ზეპირი); მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ სამხედროდან დემობილიზებულთ.

**4. სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია**
(ქართული და რუსული სექტორი)

გამოცდები ჩატარდება: საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ბიოლოგიაში (ტესტირებით); მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**5. სპორტის მედიცინა**
(სამედიცინო უნივერსიტეტთან კოოპერირებით)

გამოცდები ჩატარდება: ბიოლოგიაში (ტესტირებით), ქიმიაში (ტესტირებით), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**6. სამართლისმცოდნეობა**
(სპორტისა და ტურიზმის სამართლისმცოდნე)

გამოცდები ჩატარდება: საქართველოს ისტორიაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**7. სტომატოლოგია**
გამოცდები ჩატარდება: ბიოლოგიაში (ტესტირებით); ქიმიაში (ტესტირებით), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**8. უცხო ენები**
(ქართული და რუსული სექტორი)
ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური.
სპორტის რეფერენტი
გამოცდები ჩატარდება ამორჩეული ენაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

### დაუსწრებელი განყოფილება

მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:
ა) მწვრთნელი; ბ) ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი; გ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტი.

გამოცდები ჩატარდება: საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა" ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

### პარალელური სპეციალობები

სპორტული სპეციალობების დღის და დაუსწრებელი განყოფილების ყველა სტუდენტს აქვს უფლება ერთდროულად მიიღოს პარალელური (მეორე) განათლება სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის და სპორტული ჟურნალისტიკის სპეციალობით.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, გარდა კვირისა. 10.00 საათიდან 16.00 საათამდე.

### ფასიანი სექტორი

ფასიან სწავლებაზე მიიღებიან აბიტურიენტები დღის და დაუსწრებელი განყოფილების ყველა სპეციალობაზე და სარგებლობენ საბიუჯეტო სექტორის უფლებით.

ფასიან სექტორზე ჩაირიცხებიან ის აბიტურიენტები, რომლებმაც უფასო სექტორზე დააგროვეს ქულათა გარკვეული რაოდენობა და კონკურსის შედეგად ვერ ჩაირიცხნენ.

ფასიან სექტორზე შემსვლელები ჩააბარებენ:
1. მწვრთნელის, პედაგოგიური და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სპეციალობებზე ერთ გამოცდას — საერთო ფიზიკური მომზადება.
2. სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია — საერთო ფიზიკური მომზადება და ბიოლოგია (ტესტირებით).
3. სპორტის მედიცინა — ბიოლოგია (ტესტირებით).
4. სტომატოლოგია — ბიოლოგია (ტესტირებით), ქიმია (ტესტირებით);
5. სამკურნალო საქმე — ბიოლოგია (ტესტირებით), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).
6. სამართლისმცოდნეობა. დასწრებული, დაუსწრებელი — საქართველოს ისტორია (ზეპირი).
7. უცხო ენები — ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური ენები — ამორჩეული ენა, მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ფასიან სექტორზე საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 10.00 საათიდან 16.00 საათამდე.

გამოცდები ჩატარდება 18-19 აგვისტოს. ფასიან სექტორზე ჩარიცხვა მოხდება მათ მიერ პირველი წლის სწავლების საფასურის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 26 აგვისტოსი.

აკადემიის სწავლების ყველა ფორმაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად.

აბიტურიენტმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 6 ფოტოსურათი (3X4), წვევამდელის მიწერის მოწმობა.

აბიტურიენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებს აბარებენ საერთო ფიზიკურ მომზადებასა და სპორტის არჩეულ სახეობაში, გაივლიან სამედიცინო შემოწმებას სპორტის აკადემიაში. ფიზიკური აღზრდის აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტებზე შემსვლელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სპორტული კლასიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი სპორტის არჩეულ სახეობაში.

აკადემიაში ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა.

## ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კოლეჯი

მიიღებიან 9 კლასის კურსდამთავრებულები სამკურნალო ფიზიკური კულტურის ინსტრუქტორი-მასაჟისტის სპეციალობით (სწავლის ვადაა სამი წელი).

კოლეჯის კურსდამთავრებულები სურვილის მიხედვით უგამოცდოდ ჩაირიცხებიან აკადემიის ფასიანი განყოფილების მეორე კურსზე არსებული სპეციალობების მიხედვით.

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში (ტესტური მეთოდით).

## სტომატოლოგიური კოლეჯი

მიიღებიან 9 კლასდამთავრებული აბიტურიენტები.

კოლეჯში სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია, კურსდამთავრებულები მიიღებენ კბილის ტექნიკოსის სპეციალობას.

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში (ტესტური გამოცდა), ქიმიაში (ტესტური გამოცდა).

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ფრიადოსანი სტუდენტები სტომატოლოგიურ ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ფასიან სექტორზე, მეორე კურსზე.

ორივე კოლეჯში საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან 25 აგვისტომდე (ყოველდღე, კვირის გარდა).

კოლეჯში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

განცხადება რექტორის სახელზე, არასრული საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 6 ფოტოსურათი (3X4).

სწავლის ყველა ფორმაზე მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით მომსახურება ფასიანია (10 ლარი); აბიტურიენტს აღნიშნული თანხა არ უბრუნდება.

***ღია კარის დღე ჩატარდება 5 და 12 ივლისს, 12.00 საათზე.***

აკადემიაში არსებობს მაგისტრატურა და ასპირანტურა.

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49

ტელეფონი: 29-37-62; 23-03-75.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და პირადად დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ღრმა სამძიმარს უცხადებენ ვეტერან დინამოელ ფეხბურთელს ილია რუხაძეს შვილის გარდაცვალების გამო.**

**მოჭიდავეთა რეგისტრირებული საზოგადოება „რაინდი" ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე საზოგადოების აქტიურ წევრს ნუგზარ ჩიქოვანს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე აკადემიის ანატომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი**

**ლედა მახარაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## კროსვორდი № 45



თარაზულად: 5. ნბა-ს გუნდი, 7. ფრანგი ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი, 8. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 11. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 12. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი, 14. იტალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 15. შუამარბი ფეხბურთში, ჰოკეიში, 16. ლეგენდარული ფრანგი ვეტერანი სამთო-მეთხილამურე, 17. შეჯიბრებაში მეორე ან მესამე ადგილზე გასული.

შვეულად: 1. სოფელი ლაგოდეხის რაიონში, რომელსაც ჰყავდა ცნობილი საფეხბურთო გუნდი, 2. სსრ კავშირის დროს ფრუნზეს საფეხბურთო კლუბი, 3. ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი, 4 და 6 თბილისის „დინამოს" ვეტერანი ბერძენი ფეხბურთელები, 9. ვეტერანი გერმანელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი. 10. ვეტერანი უკრაინელი ფეხბურთელი, ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი, 13. ბაღდათის მინი ფეხბურთის კლუბი.

### კროსვორდი №44. პასუხები

თარაზულად: 1. ცაპოვეცკი, 6. კოკა, 8. ჩანოვი, 9. რბენა, 10. ლი, 12. „სიონი", 13. ნილსონი, 17. ფილატოვი, 18. „სტიაუა", 19. შულცი.

შვეულად: 2. ასანიძე, 3. ოკოჩა, 4. ეში, 5. კოროლიოვი, 6. კინი, 7. ალეირი, 11. მოსკოვი, 12. სიმაღლე, 14. ტაბა, 15. გავზი, 16. ბურე.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩილაძე